ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ვანი 20 03 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მურად ახვლედიანი - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (უ/ნ 1171 14.03.2014წ.) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2014 წლის 19 თებერვალი 16:00 სთ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ოთხმა პრეტენდეტმა :

1. შპს „კარკასი"
2. შპს „არქსტუდიო"
3. შპს „პრაიმპლასტი"
4. შპს „ეკლა"

განიხილეს: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტების გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „კარკასი"-ს, შპს „პრაიმპლასტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, შპს „კარკასი"-ის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები გაცემულია საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების თარიღამდე, შპს „პრაიმპლასტი"-ს მიერ

არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, ხოლო შპს „ეკლა“-ს მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ იყო მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, რის გამოც მოხდა კონკურსანტის დისკვალიფიკაცია. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვა. შპს „არქსტუდიო“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - მურად ახვლედიანმა.
კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - ავთანდილ ჭელიძემ.
კომისიის წევრებმა: შოთა კორძაძემ, აკაკი წერეთელმა

დაადგინეს:

1) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (უ/ნ 1171 14.03.2014წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „არქსტუდიო“.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.
3) საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

1. შოთა კორძაძე
2. აკაკი წერეთელი

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ვანი

20 03 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 14 მარტს გამოცხადებული (განცხადება უ/ნ 1171) კონკურსის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე : მურად ახვლედიანი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე : ავთანდილ ჭელიძე

კომისიის წევრები:

1. შოთა კორძაძე
2. აკაკი წერეთელი
3.

საკონკურსო აპარატის წევრები:

1. თამარ ადეიშვილი
2. რამლეზ ოჩხიკიძე